საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ბარამგულიჯანიანი“

„ბარამგულიჯანიანი“, „მცირე ბაამიანი“, XVIII ს. ქართული მწერლობის ძეგლი, ონანა მდივნის მიერ 1726 ასტრახანში გალექსილი პოემა, რ-შიც მოთხრობილია ჭაბუკი ბარამისა და ჩინელთა მეფის ასულის გულიჯანის სამიჯნურო თავგადასავალი. პოემისათვის დართულ ანდერძში ონანა მდივანი „ბ-ის“ ავტორად სპარსელ ჩუბინ ქირმანელს მიიჩნევს, ხოლო თავისი პოემის უშუალო წყაროდ თხზულების ქართ. პროზაულ თარგმანს ასახელებს. ჯერჯერობით მიკვლეული არ არის არც სპარს. დედანი, არც მისი ქართ. თარგმანი; ჩუბინ ქირმანელის სახელიც უცნობია სპარს. *ლიტ.* ისტორიისათვის; უარყოფილია მისი ხაჯუ ქირმანისთან გაიგივების ცდა. „ბ-ის“ დაკვირვებული შესწავლა ცხადყოფს მის საოცარ სიახლოვეს ვეფხისტყაოსანთან. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ონანა მდივანმა რუსთაველის პოემის მიბაძვით შექმნა ორიგინ. რომანტიკული თხზულება. „ბ-ის“ ავტორობის საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ლიტ.: ბ რ ე გ ა ძ ე დ., ქართველი მწერლები რუსეთში, წგ. 1, თბ., 1958; გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბ., 1973; გ უ გ უ შ ვ ი ლ ი მ., პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966.

ა. გვახარია